GEOSTEEL LLC
36, David Gareji Street, 3700 Rustavi, Georgia
საქართველო, რუსთავი, 3700, დავით გარეჯის ქ. 36
Tel. +995 341 24 10 11, Tel./Fax: +995 341 24 10 07; +995 32 224 36 85
E-mail: office@geosteel.com.ge

166/22
18.10.2022

ს.ა.ნ.ბ.ა. გარემოს ეროვნული
სააგენტო
19. 10 2022 წ.
№ 5727

სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო"-ს უფროსს
ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

To the head of the National Environmental Agency
Ms. Tamar Pitskhelauri

ქალბატონო თამარ / Ms. Tamar,

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოგიდგენთ ქ. რუსთავში დავით გარეჯის ქუჩა N36-ში მდებარე შპს „ჯეოსთილი"-ს მეტალურგიული საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს. შპს „ჯეოსთილი" მიმდინარე საქმიანობას ახორციელებს, „შპს „ჯეოსთილის" მეტალურგიულ წარმოებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 11 იანვრის N2-20 ბრძანების საფუძველზე (ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა 24. 14.08.2007 წელი). გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიხედვით, საწარმოს წარმადობა შეადგენს 175 000 ტონას წელიწადში, ხოლო ექსპლუატაციის პირობების ცვლილების მიხედვით, დაგეგმილია წარმადობის გაზრდა 300 000 ტონამდე წელიწადში.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის განაცხადის მიხედვით, შპს „ჯეოსთილი"-ს ტერიტორიაზე დაგეგმილი სილიკომანგანუმის ჩამოსასხმელი საამქროს მოწყობა არ განიხილება და გარემოზე ზემოქმედების ანგარიში მომზადებულია მხოლოდ, საწარმოს წარმადობის გაზრდასთან დაკავშირებით.

წერილს თან ერთვის:

1. შპს „ჯეოსთილი"-ს მეტალურგიული საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (წარმადობის გაზრდა) გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში - 1 ეგზემპლიარი ნაბეჭდი ვერსია;
2. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის არატექნიკური რეზიუმე - 1 ეგზემპლიარი ნაბეჭდი ვერსია;
3. საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში აღმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი - 2 ეგზემპლიარი ნაბეჭდი ვერსია;
4. საწარმოს განთავსების ტერიტორიის სიტუაციური სქემა - 1 ეგზემპლიარი ნაბეჭდი ვერსია;
5. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის ასლი;
6. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შპს „ჯეოსთილი"-ს რეგისტრაციის თაობაზე;
7. 1-4 პუნქტებში მოცემული დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსიები და საწარმოს განთავსების ტერიტორიის გეოგრაფიული კოორდინატები SHP ფაილების სახით.

In order to make an environmental decision, we present to you the environmental impact assessment report of the change in operating conditions of "Geosteel" LLC Metallurgical Enterprise located at 36 Davit Gareji Street in Rustavi. "Geosteel" LLC carries out its current activities, based on the order of the Minister of Environment Protection and Agriculture of Georgia #2-20 dated January 11, 2021 (environmental expertise report 24. 14.08.2007).

According to the environmental decision, the production of the enterprise is 175,000 tons per year, and according to the changes in operating conditions, it is planned to increase the production to 300,000 tons per year.

In addition, we would like to inform you that according to the scoping application for changes to the operating conditions of the enterprise, the arrangement of the silicon manganese casting plant planned on the territory of "Geosteel" LLC is not considered, and the environmental impact report has been prepared only in connection with increasing the enterprise's production.

Attached to the letter:

1. Environmental impact assessment report of the change in operating conditions (increasing production) of the metallurgical enterprise of "Geosteel" LLC - 1 copy, printed version;
2. Non-technical summary of the environmental impact assessment report - 1 copy printed version;
3. The project of the norms of marginally permissible emission of harmful substances into the ambient air during the operation of the enterprise - 2 copies of the printed version;
4. Situation scheme of the territory of the enterprise location - 1 copy printed version;
5. A copy of the receipt confirming the payment of the environmental decision fee;
6. Extract from the business register regarding the registration of "Geosteel" LLC;
7. Electronic versions of the documentation given in points 1-4 and geographical coordinates of the territory of the enterprise in the form of SHP files.

პატივისცემით / Sincerely,

ბალაკრიშნან საჯივი / Sajiv Balakrishnan
დირექტორი / Director

GEOSTEEL
"GEOSTEEL" LLC
BOLNISI, GEORGIA